სათემო ლიდერთა ფორუმი 2023

„2021-2022 წლების საუკეთესო სათემო ინიციატივა“

შერჩეული ინიციატივები

“ეთნო-ბანაკი 2022”

პროექტის განმახორციელებელი: ახალსოფლის ახალგაზრდული ცენტრი
კახეთი, ყვარლის მუნიციპალიტეტი, ახალსოფლის თემი
პერიოდი: 09.06.2022-12.08.2022
ბიუჯეტი: 23 000 ლარი

ჯერ კიდევ 2018 წელს, ახალსოფლის ახალგაზრდული ცენტრის ახალგაზრდული ჯგუფის წევრებმა ერთ-ერთი შეკრების დროს, პრობლემად ადგილობრივ ახალგაზრდებს შორის ნაკლები კომუნიკაცია დაასახელეს და მოგვარების გზად მულტი ეთნიკური ბანაკის შექმნა წარმოიდგინეს. სწორედ აქედან იწყება ეთნო-ბანაკის ისტორია.

საქართველოში ეთნიკური უმცირესობები მოსახლეობის საერთო რაოდენობის 16,2%-ს შეადგენენ. ყვარლის მუნიციპალიტეტის 5 სოფელი ეთნიკურად ავარიელებით, უდებითა და ოსებითაა დასახლებული. მიუხედავად იმისა, რომ მეზობელ სოფელში სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები თანაცხოვრობენ, სამწუხაროდ, მათ ერთმანეთის შესახებ გარდა ეთნიკური სახელწოდებისა, არც თუ ისე ბევრი ინფორმაცია აქვთ.

2022 წლის ეთნო-ბანაკში 50 ახალგაზრდა მთელი საქართველოდან იყო შერჩეული, მათ შორის 7 განსხვავებული ეთნოსის (ქართველები, ავარიელები, უდები, ოსები, აზერბაიჯანელები, სომხები და ეზიდები) წარმომადგენელი. ბანაკი 4 დღის განმავლობაში გრძელდებოდა, ხოლო მოსამზადებელი პერიოდი 2 თვეს მოიცავს. თავად ახალსოფლის თემიდან პროექტში 15 ახალგაზრდა ჩაერთო. ბანაკისთვის სივრცე საცხენოსნო კლუბმა „ჯარჯი“ უსასყიდლოდ დაუთმო ორგანიზატორებს. ეთნო-ბანაკის მონაწილეებმა აღმოაჩინეს და ნათლად დაინახეს ეთნიკური მრავალფეროვნება; ჯგუფების ისტორია, კულტურა, ტრადიციები და მისი ღირებულებანი. მონაწილეებმა განივითარეს გუნდურად მუშაობის, პრეზენტაციის, ანალიტიკური აზროვნების, ურთიერთპატივისცემისა და მოსმენის უნარები და რაც მთავარია ერთმანეთს დაუტოვეს დაუვიწყარი მოგონებები.

2022 წლის ეთნო-ბანაკის მონაწილეებთან ურთიერთობა მხოლოდ საბანაკე სივრცეში გატარებული დღეებით არ სრულდება. ისინი ახალგაზრდული ცენტრის წევრები გახდნენ და სურვილისა და ინტერესის შემთხვევაში ერთვებიან ახალსოფლის ახალგაზრდული ცენტრის მიერ დაგეგმილ სხვადასხვა პროექტში.

„ეთნო-ბანაკის“ ისტორია კი გრძელდება და 2023 წელს ბანაკმა უკვე 70-ზე მეტ ახალგაზრდას უმასპინძლა.

“თანასწორობის საკვირაო სკოლა”

პროექტის განმახორციელებელი:
საინიციატივო ჯგუფი - ახალგაზრდები ზესტაფონისთვის/YOUth for Zestafoni
პერიოდი: 06.11.2022-30.11.2022
ბიუჯეტი: 900 ლარი

თანასწორობის საკვირაო სკოლა, ქალაქ ზესტაფონში ახალგაზრდების მიერ შეიქმნა, მათი აზრით თანატოლების დიდი ნაწილი ინდიფერენტულია თემის პრობლემების მიმართ, არ ერთვება გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, აქვთ სტერეოტიპული დამოკიდებულებები სხვადასხვა სოციალური, რელიგიური, ეთნიკური და სხვა ჯგუფების მიმართ. საინიციატივო ჯგუფის წევრების აზრით თუნდაც მოკლე პროექტი ან საქმიანობა, მცირე, მაგრამ მნიშვნელოვანი ცვლილებების მომტანი შესაძლოა იყოს.

ზესტაფონელი ახალგაზრდების მიერ განხორციელებული პროექტი „თანასწორობის საკვირაო სკოლა“ სულ რაღაც ერთი თვე გრძელდებოდა და მასში მონაწილეობა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების 100-მდე მოსწავლემ, რამდენიმე მშობელმა და პედაგოგმა მიიღო. შეხვედრების დროს ისეთ მნიშვნელოვან და აქტუალურ თემებზე იყო საუბარი, როგორიც არის: გენდერული თანასწორობა, გენდერი და პროფესია, ადრეული ქორწინება, ბავშვთა უფლებების დარღვევა და საზიანო „ტრადიციული“ პრაქტიკა,ადვოკატირება და სამოქალაქო აქტივიზმი.

საინიციატივო ჯგუფის წევრებისთვის, თანასწორობის საკვირაო სკოლა, კიდევ ერთი სასიკეთო გამოცდილებაა, რომელმაც ახალგაზრდებს მისცა გაცილებით მეტი თავდაჯერება და მოტივაცია, რომ თავიანთი განათლება და გამოცდილება მოახმარონ ადგილობრივ დონეზე არსებული გამოწვევების დაძლევას.

“ვირტუალური ურთიერთობების ფანჯარა”

პროექტის განმახორციელებელი: სათემო კავშირი - ანი-ბანი
პერიოდი: 01.06.2021-30.11.2021წ
ბიუჯეტი: 11720 ლარი

პანდემიის პერიოდში ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გამო სოფელ შრომის მოსახლეობას არ ჰქონდათ საშუალება ინტერნეტით სარგებლობისა (კომპიუტერული ტექნიკის სიმწირე, ინტერნეტ პროვაიდერების არ არსებობა). ამის გამო, შრომის საჯარო სკოლის ბევრი მოსწავლე კვირიდან კვირამდე ვერ ახერხებდა ონლაინ გაკვეთილებზე დასწრებას. სკოლის ადმინისტრაცია აღნიშნავდა, რომ საშუალო ზომის კლასიდან (18-20 მოსწავლე) მხოლოდ 30%-ს შეეძლო სისტემატიურად ჩართვა ონლაინ გაკვეთილებზე. ანალოგიური პრობლემის წინაშე იყვნენ სტუდენტებიც. სათემო კავშირმა გადაწყვიტა დაფინანსება მოეპოვებინა და ნაწილობრივ მაინც მოეგვარებინა თემში არსებული პრობლემა.

სოფელ შრომაში ანი-ბანის ინიციატივით შეიქმნა „ვირტუალური ურთიერთობის ფანჯარა“. სათემო კავშირი იმ ეტაპისთვის ფლობდა 1 ლეპტოპს, პროექტის ფარგლებში კი შეიძინა 4 ლეპტოპი, ხოლო თემის თანამონაწილეობით დამატებით კიდევ 1 ლეპტოპი.

პროექტის პირდაპირი ბენეფიციარები იყვნენ სკოლის ასაკის მოზარდები, სტუდენტები. ასევე, სამუშაოს მაძიებელი ზრდასრული ადამიანები. ჯამში, სოფლის საერთო რაოდენობის 30 %. საგაკვეთილო პროცესს მონიტორინგს უწევდა მორიგე მოხალისე, რათა არ დარღვეულიყო რეგულაციები, კონტროლდებოდა მონაწილეთა ტემპერატურა შესვლა-გამოსვლის დროს და მკაცრად იყო დაცული უსაფრთხოების ყველასხვა წესი. შეიქმნა მოსარგებლეთა 3 ჯგუფი, რომელიც მორიგეობით (დღეების მიხედვით) ინაწილებდა სივრცეს. ჯამში 50 მოსწავლეს, 15 სტუდენტსა და 15 ზრდასრულ ქალს გაეწია ინტერნეტ და ტექნიკური მომსახურება, თითქმის ყოველდღიურ რეჟიმში.

ამავე პროექტის ფარგლებში შეთავაზებული სხვადასხვა თემატური ტრენინგების შედეგად, სოფელ შრომაში დაფინანსდა 6 მცირე საოჯახო ტიპის ბიზნეს იდეა და 9 პროფესიული საგანმანათლებლო გრანტი, რომლის შედეგადაც ამჟამად დასაქმებულია 14 ქალი.

საზაფხულო არდადეგებისას, „ვირტუალურმა ფანჯარამ“ ორგანიზაციას დამატებით ახალი, ინტერნეტ-კაფის დატვირთვა მისცა. ცენტრი ყოველდღიურ რეჟიმში სთავაზობს მოსახლეობას, მოსწავლეებსა და სტუდენტებს კომპიუტერული ოთახით სარგებლობის შესაძლებლობას და ასევე სხვადასხვა აქტივობებს.

“თრუსოს ხეობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შენარჩუნება”

პროექტის განმახორციელებელი: ორგანიზაცია ლომეკი
პერიოდი: 2020-2022 წლები
ბიუჯეტი: თვითდაფინანსება

2020 წელს თრუსოს ხეობაში მიწის ყიდვასა და რეგისტრაციაზე მორატორიუმის გაუქმების შემდეგ დაიწყო ხეობის უკონტროლო ათვისება, რამაც ბუნებისა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაზიანება გამოიწვია.

აქ არსებულ ძეგლების უმეტესობას დღემდე არ გააჩნიათ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი, შესაბამისად სუსტია მათი დაცვის მექანიზმები, მით უფრო იმ ფონზე, როდესაც ზოგიერთ მათგანზე არსებული სტატუსიც კი, მაინც ვერ იცავს ძეგლებს განადგურებისაგან. დღემდე ოფიციალურ რუკებზე ხეობის ტოპონიმები არასწორი ფორმით გვხვდება, რაც რუსული იმპერიული პოლიტიკის გადმონაშთია, ჩვენი სახელმწიფოებრიობის 30 წლიანი ისტორიის მანძილზეც, ამ კუთხით არაფერი შეცვლილა.

ამასთან, 2021 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედდა საქართველოს კანონი „თრუსოს დაცული ლანდშაფტის შექმნისა და მართვის შესახებ“, თუმცა ადგილი ჰქონდა კანონის მთელ რიგ დარღვევებს.

ორგანიზაცია „ლომეკი“, აქტიურ მოქალაქეებთან და ექსპერტებთან ერთად, ხეობის ისტორიული მემკვიდრეობისა და ლანდშაფტის შესანარჩუნებლად მუშაობს. ლომეკმა ხეობაში ძეგლთაკვლევითი და მონიტორინგის მიზნით ჩაატარა არაერთი ექსპედიცია, რა დროსაც გამოიკვეთა ძეგლთა დაზიანების მზარდი შემთხვევები, მათ შორის აღმოაჩინა დაკარგული სარიტუალო ნივთები ეკლესიიდან (მნის ხეობა).

ამავე პერიოდში ჯგუფმა დააფუძნა ეთნო ფესტივალი თრუსო, რომლის მიზანიც ხეობის ძეგლთა აღდგენა და პოპულარიზაციაა. ასევე მომზადდა ორენოვანი გზამკვლევი, სადაც შეტანილია ხეობის მნიშვნელოვანი კულტურისა და ბუნების ძეგლები.

დღეისათვის, ჯგუფი მუშაობს პროექტზე „ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობა თრუსოს ხეობის დაცული ლანდშაფტისა და კულტურული მემკვიდრეობის განვითარების პოლიტიკის ადვოკატირებისთვის“, რაც გულისხმობს საკანონმდებლო მექანიზმების დახვეწაში მონაწილეობას; კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სრულ ინვენტარიზაციას (უმეტეს ძეგლებს არ გააჩნიათ სტატუსი) და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სარეაბილიტაციო პროექტების განხორციელებას.

“კამპანიების კონკურსი - რატომ ევროპა?”

პროექტის განმახორციელებელი: კომლის თემი
პერიოდი: დეკემბერი, 2022 - მაისი, 2023
ბიუჯეტი: 645 ლარი

ბოლო წლების განმავლობაში, მეტ აქტუალობას იძენს საქართველოს ევროპასთან დაახლოების საკითხი. ამ ყველაფერს დიად მიზნებთან ერთად დიადი მიზეზიც აქვს - საქართველო ყოველთვის იყო და იქნება ევროპული ცივილიზაციის განუყოფელი ნაწილი. მიუხედავად ამისა, მოსახლეობაში საკმაოდ დაბალ დონეზეა ევროკავშირისა და მისი სიკეთეების შესახებ ცნობიერება. ამასთან, შესამჩნევია მკვეთრად მზარდი ანტი-დასავლური ძალების გააქტიურებაც. ამ კრიტიკულად მნიშვნელოვან მომენტში, აუცილებელია საქართველოს ევროკავშირთან პარტნიორობის საკითხის ფართო მასებამდე სწორად მიწოდება, ანალიზი, ჯანსაღი დისკუსია და საკითხის ინოვაციური გზებით გაშუქება.

მოცემული სიტუაციიდან გამომდინარე, კომლის გუნდმა გადაწყვიტა ევროკავშირის შესახებ კამპანიების კონკურსის ჩატარება, რომლის მონაწილე ახალგაზრდებიც საზოგადოებას ევროკავშირის შესახებ ინფორმაციას საინტერესო მეთოდებით მიაწვდიდნენ. “კომლის თემი”, თავის მხრივ, კამპანიის მონაწილე გუნდებს ორგანიზაციულ-რესურსულ მხარდაჭერას დაჰპირდა.

კონკურსი 14-29 წლის ასაკის ახალგაზრდებისთვის გამოცხადდა, რომლებიც შიდა ქართლის რეგიონში, უპირატესად კი, კასპის მუნიციპალიტეტში ცხოვრობდნენ. კონკურსის შედეგად შეირჩა კამპანიის ორგანიზატორი ორი გუნდი, რომლებიც კასპის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სკოლის მოსწავლეებისგან შედგებოდა. გუნდებმა აქტივობები 2023 წლის აპრილისა და მაისის თვეებში განახორციელეს. კამპანიები მოიცავდა შეხვედრების სერიას კასპში არსებულ სკოლის მოსწავლეებთან, საჯარო შეხვედრებს მოწვეული სპიკერებით, ინტელექტუალურ თამაშებს და ვორქშოფებს.

მათ მიერ განხორციელებულმა საქმიანობამ აამაღლა, როგორც თემში ევროკავშირის შესახებ არსებული ცოდნის დონე, ასევე კამპანიების გუნდის წევრთა პრაქტიკული გამოცდილება. კამპანიების კონკურსის გამარჯვებული ორივე გუნდის წევრებმა მიიღეს უდიდესი გამოცდილება პროექტის დაგეგმვისა და განხორციელების, თემის მობილიზების და შეხვედრების ორგანიზების კუთხით. მათ განივითარეს როგორც ჯგუფური, ასევე ინდივიდუალური მუშაობის უნარები. შედეგად, მინიმუმ 100-მა ახალგაზრდამ უკეთ გაიაზრა ევროკავშირის არსი, ფასეულობები, სიკეთეები და საქართველოს ევროინტეგრაციის მნიშვნელობა, ხოლო მუნიციპალიტეტის დონეზე გაიზარდა ორგანიზაცია კომლის თემის ცნობადობა.

“ჩვენი სივრცე - უკეთესი მომავლისთვის“

პროექტის განმახორციელებელი: მარტყოფის ახალგაზრდული ცენტრი
პერიოდი: აპრილი, 2022 - დეკემბერი, 2022
ბიუჯეტი: 13,644 ლარი, აქედან: 9100 ორბელიანი მეტი, ხოლო
4544 ლარი ქრაუდფანდინგით

სოფელ მარტყოფში, სადაც არ არსებობდა რაიმე ახალგაზრდული სივრცე და სამოქალაქო ორგანიზაცია, მოტივირებული ახალგაზრდების ჯგუფმაგადაწყვიტაახალგაზრდული ცენტრის დაფუძნება. თავიდან საქმიანობა დაიწყეს შეხვედრებისსივრცის გარეშე,კარგ ამინდებში პარკებშიიკრიბებოდნენ, ხოლო ზამთარში - კულტურის სახლში, ხანაც სკოლის შენობაში, როგორც მოუხერხდებოდათ.

მთავარი გამოწვევა მოხალისეებისთვის მუდმივი შეხვედრების სივრცის ქონა იყო. მუნიციპალიტეტთან ერთწლიანი დიალოგის შემდეგ საინიციატივო ჯგუფს გადაეცა ერთი ოთახი ყოფილი საბჭოს ანუ ადმინისტრაციის შენობაში, რის შემდეგაც სივრცის მოწყობის, აღჭურვის და გამოცოცხლების მუშაობა დაიწყო.

ახალგაზრდული ცენტრის ოთახით სარგებლობა თემის ყველა წევრს შეუძლია, სწორედ სივრცის მოწყობამ მისცა სტიმული და დასაბამი ახალ პროექტებსა და ტრენინგების ციკლს, ადვოკატირების კამპანიას: “ერთად გადავარჩინოთ მარტყოფის მდინარე”; მომავალ ლიდერთა კლუბს და ლიდერთა ლაბორატორიას, რომელშიც სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფები არიან ჩართული.

ახალგაზრდული სივრცის საქმიანობის შენარჩუნება ხდება ე.წ. “გრასრუთინგით“, ანუ ის ახალგაზრდები ვინც ვითარდებიან და არაფორმალური განათლების გზით იძენენ სხვადასხვა კომპეტენციებს, შემდეგ საკუთარ ცოდნას და გამოცდილეაბს, უმცროსი თაობის წარმომადგენლებს გადასცემენ. მაგალითად, 16-17 წლის ლიდერების ფასილიტაციით, 12-13 წლის ახალგაზრდები გეგმავენ ფილმის ჩვენებებს; დასუფთავების აქციებს; ნარჩენების სეპარირებას და სხვა ტიპის საქმიანობებს.